№ 227
შაბათი, 21 ოქტომბერი 1895

1877—1895

# ივერია

№ 227
შაბათი, 21 ოქტომბერი 1895

ბაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ამ ნომერში 14 გვერდია.

**თავადი სვიმონ ნიკოლოზის ძე ლორთქიფანიძე** სთხოვს ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ წლის პანაშვიდზედ მიცვალებულისა ძმისა მისისა **თავადის ანტონ ნიკოლოზის ძის ლორთქიფანიძისა** ამ წლის 22 ოქტომბერს, წმ. გიორგის ეკკლესიაში, ქ. ქუთაისს (2—2).

**დარია დიმიტრის ასული მუსხელოვისა, მღვდელი გრიგოლ დავითის ძე გეორგიევი** და **გიორგი ივანეს ძე მუსხელოვი** სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ მობრძანდნენ პირველის დედისა, მეორის დისა და მესამის სიდედრის **ეკატერინე დავითის ასულის კოლუბანსკის** დასაფლავებაზედ დასასწრებლად. წირვა გარდახდილ იქმნება კალოუბნის ეკკლესიაში, 22 ოქტომბერს, კვირას, დილის 9 საათზედ და დაასაფლავებენ კალოუბნის ეკკლესიისავე გალავანში. (2—1964—2).

## საიუბილეო დღესასწაული
## თავ. რ. ერისთავისა

1) დეპუტაციები და სიტყვის თქმის მსურველნი მიჰმართვენ დღესასწაულის წეს-რიგის მიმცემს გიორგი წერეთელს.

2) ლოჟისა და სხვა ადგილის კონტრამარკებისათვის უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას ხოლო ქანდარისა და ამფითეატრის კონტრამარკებისათვის —ვლ. ალექსი-მესხიშვილსა და კ. მესხს, ქართულ თეატრის კანტორაში, დილის 10 ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 4—7-დე.

3) ნადიმზედ დასწრების მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ვ. გუნიას შაბათს შუადღემდე.

4) დეპუტაციებისა და მიმლოცველთა შესახებ წეს-რიგის დადგენა მინდობილი აქვთ თეატრის დარბაზში ვლ. ალექსი-მესხიშვილს, კ. მესხსა და ვალ. გუნიას.

**საიუბილეო კომიტეტი.**

**ქართული სამკითხველო,** რომელიც იმყოფებოდა კოჩუბეის ქუჩაზედ, გადატანილი იქმნა მოლოკანთა ქუჩაზედ, სახლი №-5 იაფ-ფასიან სასადილოს პირ-და-პირ. (5—უ—2).

ქართული თეატრი
კვირას, 18 ოქტომბერს, 1895 წ.
„ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ დასისაგან
წარმოდგენილი იქნება
თავად რაფაელ ერისთავის საიუბილეოდ
ქ-ნ გაბუნია ცაგარლის მონაწილეობით
I
ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ.
კომ. 2 მოქ. თ. რაფ. ერისთავისა,
II
იუბილიარისადმი მილოცვა და პატივისცემა.
მონაწილეობას ღებულობენ: გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, ჩხეიძისა და სხვ., ბ-ნნი აბაშიძე, ყიფიანი, ალექსი-მესხიშვილი, კ. მესხი და სხ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი სწორედ 8 საათზედ
რეჟისორი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

**იოსებ ივანეს ძე რატილი**
სთხოვს ყველა მსურველთ ახლავ შეატყობინონ მას მომღერალთ დასში შესვლის სურვილი; რეპეტიციები ამ კვირაში დაიწყება.
ადრესი: ვორონცოვის ქუჩა, № 5. (5—უ—3).

**ვ პ ი ს რ უ ლ ო ბ**
ყოველ გვარს **სასამართლო საქმეს,** როგორც სამოქალაქოს, ისე სისხლის სამართლისას, ვწერ ყოველ გვარს არზებს, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების ბანკებში დაგირავებას.**

მსურველთ მოკმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.
ოქრომჭედლების ქუჩა, სახლი პაპოვისა, № 30, იკითხეთ ა. მ. ახნაზაროვი.

**კბილის ექიმი**
**ა. ი. ორბელი**
სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16
ავადმყოფებს მიიღებს:
დილით 10-დგან 2 საათამდე.
საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.
**კვირა-უქმე დღეებში**
დილის 10 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (166—1891—15)

## ახალი ამბავი

—

*** უკვე დაიწყეს საქართველოს სხვა-და-სხვა ადგილებიდგან თავადის რაფაელ ერისთავის იუბილეზედ დასასწრებლად და პატივ-საცემლად ჩამოსვლა დეპუტაციებმა. გუშინ, 20 ოქტომბერს, გურიიდგან და ხევსურეთიდგან ჩამოვიდნენ დეპუტატები.

*** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ მიიღო ახალციხიდგან იქაურ ქალთა შორის შეკრებილი ას-თოთხმეტი (114) მანეთი სასარგებლოდ იმ ფონდისა, რომელსაც აარსებენ ქართველი ქალები რაფაელ ერისთავის სახელობაზედ და რომელსაც დანიშნულებად ექნება წერა-კითხვას საზოგადოების ერთ-ერთის სკოლის საუკეთესო მოსწავლე ქალის სახელოსნო სკოლაში აღზრდა.

*** ორშაბათს, 23 ამ თვეს, სახელმწიფო თეატრში დანიშნულია ოპერა „აიდა“. შემოსავალი გადადებულია მეორე კლასიკურ გიმნაზიის მოწაფეთა სასარგებლოდ, რომელნიც ასრულებენ კურსს წელს და ღონისძიება არა აქვთ, რათა განაგრძონ სწავლა უმაღლესს სასწავლებელში.

*** კავკასიის საიმპერატორო სამკურნალო საზოგადოების ექსტრაორდინალურს სხდომაზედ სამშაბათს, 24 ოქტომბერს, საღამოს $7^1/_2$ საათზედ განიხილავენ თავმჯდომარის ა. ა. პავლოვსკის მოხსენებას სახალხო სამკურნალო ფურცლის გამოცემის შესახებ.

*** მ. შარაძის ნათარგმნი ფილოსოფოსი სოკრატი, რომელიც სამიათას ეგზემპლიარად დაიბეჭდა, სულ გაყიდულა და ეხლა ხელ-მეორედ აპირებენ დაბეჭდვას.

*** სამტრედიიდგან გვატყობინებენ, რომ აქ და ს. კულაშს ყვავილი მძვინვარებს. ხალხი იმის მაგიერად, რომ ექიმსა და მეცნიერებისაგან დამტკიცებულს საშუალებას მიჰმართოს —სოფლის დედაკაცებსა და მარჩიელებს ჰკითხავს რჩევას.

როგორც გვწერენ, ბლაღოჩინი კულაშისა და სამტრედიის მრევლისა ნასწავლი კაცი არისო და საკვირველია, რატომ არ შეაგნებინებს ხალხს, არ უქადაგებს და არ ამხელს, რომ სენს გონიერი ექიმობა უნდა და მოვლა და არა შელოცვა და მარჩიელობა?

ბევრად სჯობდა, ნასწავლს ბლაღოჩინს სიბნელეში სინათლის შეტანა მოენდომებინა, ხალხის გონება გამოეფხიზლებინა, ვიდრე ეწირვინებინა ერთსა და იმავე დროს ორს ენაზედ!?

*** როგორც გვესმის, ქვემო-ქიზიყის სახალხო დეპოში დიდი ვაჭრობა სწარმოებს, დეპოს აღებ-მიცემობამ და წევრთა რიცხვმა შესამჩნევად იმატა ამ ბოლო ხანებში. იმედია დეპოს გამგეობა ეცდება და მკვიდ-

# ფელეტონი

—

***

ვიყავ მარტოკა, ნაღვლიანი, დაფიქრებული
და ფიქრში წასულს მესმოდა, ვით მიკვნესდა გული,
გარინდებული შევყურებდი მაღლა ზეცასა
და ღრუბლებისა შავი ქსელი ჰბინდავდნენ თვალსა,
ასე მეგონა მოვწყვეტილვარ დედამიწასა,
ისე ერთიან გავეტაცნე შავ ფიქრთა ზღვასა.
ოხ, რა ობლადა თავი მაშინ მეჩვენებოდა
და რა საბრალოდ თვალნი ჩემნი იცრემლებოდა!
მას ვუმსხვერპლიდი ძუნწს, უფერულს ჩემსა სიცოცხლეს,
ვინც მეგობრულად იმა წამში მომაწვდიდა ხელს,
ვინც თანაგრძნობით მკერდსა ჩემსა მოაყრდობდა მკერდს
და თვალ-ცრემლიანს დამაფრქვევდა შებრალების ცრემლს...

ი. ევდოშვილი.

—◆◆—

**სებასტიანე ფორი და მისი ახალი თხზულება „მსოფლიო მწუხარება“.**

(La douleur universelle).

დასასრული *)

კაცი არის ეგოისტი. თავისის პირადობისთვის ზრუნვა არ არის დანაშაულობა: თვით არსებობის დაცვის ინსტინქტი ამას გვაიძულებს ყოველივე შემთხვევაში; ამიტომ კერძო ადამიანს იმისთვის-კი არ უწოდებენ ეგოისტს, რომ ის თავისს-თავზედ ფიქრობს, ან თავისის ინტერესებისათვის ზრუნავს, პირად სიამოვნებას ეძებს, არამედ იმისთვის, რომ მას ამ თავის კერძო პირადობის, კერძო ინტერესების მეტი არაფერი ახსოვს და არავისთვის არ ზრუნავს, წინააღმდეგ ხშირად თავის მოთხოვნილების, სიამოვნების დასაკმაყოფილებლად მეორის, თავისის მოძმის ინტერესს ივლებს თავზედ. მე ვლაპარაკობ აქაო, ამბობს ავტორი, იმ ადამიანზედ, რომელსაც მხეცური ინსტინქტები მუდამ აიძულებს სულ თავისს-თავზედ, თავისს პირადობისთვის იზრუნოსო, რომელსაც არავითარი სხვისი ზარალი, გაჭირვება, უბედურება „ჩირადაც“ არ მიაჩნია, ყოველ წამს ეძებს და ილტვის თავისის პირადი წვრილმან მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, თუ გინდ ეს თხოულობდეს სხვის ჰკილობიან, ნატკენ სხეულზედ ფეხი დააბიჯოს, თუ გინდ მისი გაცინება იწვევდეს სხვის ცრემლებს, თუ გინდ მისი სიხარული თხოულობდეს სხვის მწუხარებას. ასეთი ადამიანი, რომელშიაც შეერთებული არის ყველა ეს „სიმახინჯე“ შეიძლება იშვიათი იყოს, მაგრამ ის ნამდვილია, რომ ცალკ-ცალკე მაგ ზემოთ-აღრიცხულს ბოროტებას თითქმის ყოველ ადამიანში ვხედავთ, ყოველივე ფეხის ნაბიჯზედ. წინააღმდეგ ძლიერ ძნელი საპოვნელია ამ დროში ისეთი კერძო კაცი, რომელიც სიამოვნებით მზად იყოს სხვას „ენაცვალოს“ (საქმით), სხვას, თავისს მოძმეს ნამდვილი, წრფელი განწყობილებით, კმაყოფილებით თავი შესწიროს.

ეხლა შევუდგეთ ამის მიზეზის გამოკვლევას:

ეს სოფელი საზოგადოდ არის დამყარებული ინტერესების ანტაგონიზმზედ: მმართველის ინტერესი სრულიად წინააღმდეგია, ვინემ მორჩილის; პატრონის მოთხოვნილება არას გზით არ ეთანხმება მუშის სურვილებს; მუშტრის, მყიდველის ინტერესი სრულიად „ხელს არ აძლევს“ ვაჭარს; ამნაირად მუდმივი უთანხმოება, შეჯახება და უსიამოვნება არსებობს ამ ორ ბანაკთა შორის. ერთი სიტყვით, შეუწყნარებელი ჩხუბი, ომი, „ძლეტა-გლეჯა“ არსებობს არა თუ სხვა-და სხვა წოდებათა შორის, სხვა-და-სხვა შეერთებულ წრეებთა, ოჯახებთა, კერძო პირებთა შორის, არამედ ხშირად თვით ერთსა და იმავე წრესა, საზოგადოებასა და ოჯახებშიაც. ყოველგან გამწარებული „ძარცვა-გლეჯაა“ როგორც ერთი ლუკმა პურისთვის, ისე რომელიმე თავ-შესანახავი ადგილისთვისაც: უბრალო სოფლის „ნაცვალის“ [1]) ხელობის შოვნისათვის, ისე როგორც ქალაქის თაობისათვის და ბანკის მმართველობისათვის. ყოველი კაცი ამ ბრძოლის ველზედ თავისს თავს მარტოდ, ობლად ჰგრძნობს. ის ყოველ წამს ჰფიქრობს, თუ კარგად არ დაილესა კბილები, თუ არ მოუშვა ფრჩხილები, მისი შეუბრალებელი მეზობელი თვალებს ამოპოტნის. ადამიანი ამ ცხოვრებაში შეე-

*) იხ. „ივერია“ № 226.

[1]) „ნაცვალს“, ანუ, როგორც ეხლა უფრო გავრცელებულია, „სბორჩიკს“ გურიაში სოფლის მამასახლისის თანაშემწეს, მოამსახურეს უწოდებენ.
ს

რად ფეხს მოაკიდებინებს იმისთანა დაწესებულებას, რომელსაც დიდი სარგებლობა შეუძლია მოუტანოს ხალხს ეკონომიის მხრივ და მით განამტკიცებს იმ აზრს, რომ ჩვენშიაც, როგორც ევროპაში, შეიძლება აღორძინდეს ამისთანა სახალხო დაწესებულებანი.

*** სტუდენტები: ლორთქიფანიძე და გალაჯევი, რომელნიც ნოვოროსიისკის უნივერსიტეტში სწავლობენ, კნ. ან. ივ. ერისთვის სტიპენდიანტად იქმნენ ჩარიცხულნი („ნოვ. ობოზრ.“).

*** ნოვოროსიისკის უნივერსიტეტის პროფესორი ვ. მ. პეტრიაშვილი, ამავე გაზეთის სიტყვით, პირველ დეკემბერს ტფილისში ჩამოვა იმ განზრახვით, რომ მონაწილეობა მიიღოს ოძისის სასოფლო სამეურნეო სასწავლებლის პროგრამის შედგენაში.

*** ს. თიღვა, (ზემო-ქართლი): ჩვენსკენ მეტად მშვენიერი ამინდები დაიჭირა ხვნა-თესვისათვის. ჭირნახულის მოსავალი ძალიან მოვიდა, რის გამოც ფასმა ძალზედ იკლო. ფუთი პური შვიდ შაურში და ქერი ექვსში ძლივს გადის; ამავე ფასად არის სიმინდიც; ღვინის მოსავლიდგან-კი სულ ერთიან ხელი დაიბანა ხალხმა; შარშანდელი მოსავლის მეოთხედიც აღარ მოვიდა და რაც დაიწურა, ისიც უვარგისი და მჟავეა. ყველა ამასთან მეტად გავრცელდა ჩვენს მხარეს ქურდობა და ავაზაკობა. ისე დღე ან ღამე არ გაივლის, რომ არა მოიპარონ-რა.

ამ თვის 11 ოქონის მღვდელს ღამე, გაუტეხეს ბოსელი და მოჰპარეს ცხენი და ინდოურები. რაღაც ორი-სამი კვირის განმავლობაში მრავალი ხარი, ძროხა და ცხენი მოიპარეს, ზოგი სახლებიდგან და ზოგიც დღისით მინდვრებიდგან. ერთი სიტყვით, მოსვენება არა გვაქვს არც დღისით და არც ღამით.

## პასუხად ბ-ნ კოსტანტინე თავართქილაძეს.

(დასასრული *).

თქვენ კიდევ არ კმარობთ ტყუილებს და დასძენთ: „შეგვიძლია თამამად დავუსახელოთ ღარიბ-ღატაკის ჭ ქვრივ-ობლად დარჩენილის გლეხის შვილები ასობით ათასობით(?), არიან დღეს გურულები უმაღლეს და საშუალო კურს დასრულებულები, ჭეშმარიტის სწავლით აღჭურვილები, საზოგადო საქმეზედ, სამწერლო, სალიტერატურო ასპარეზზედ გამოსულებიო“.

მყინვარე შაქარი თქვენს ენა-პირს, ჩემო კოწია. მაშ რა უჭირს გურიას, რას დააკლებენ ჩარჩები, როცა ამდენი საზოგადო მოღვაწე ჰყავს. თამამად შეგვიძლია „ჭოჭი“ ევროპისაკენ გავწვადოთ, შვეიცარიას თავი შევადაროთ. მაგრამ ერთი ეს მაღონებს, რომ შენ მათში ვერ გაერევი, როგორც ვაჭარი და ვაჭრის შვილი. გაიხარჯე, ბ-ნო კოწია და თუ თქვენმა ასობით და ათასობით საზოგადო მოღვაწეებმა თვით ვერ გააცნეს თავი ქვეყანას, შენ მაინც გაგვაცანი— ერთი ორი, ათი მაინც დაგვისახელე; ჩვენ ორიოდეს მეტს ვერ ვიცნობთ და იმათაც პირველი ბიჯი სინათლისკენ ოზურგეთის საქალაქო სკოლამ წაადგმევინა. ტყუილს მოკლე ფეხი აბია გახსოვდეს, ყველაფრის დამალვა შეიძლება, მაგრამ როგორც სინათლეს ისე საზოგადო მოღვაწეს ვერ დამალავ, მათ შენს გარდა ქვეყანა უნდა იცნობდეს, საზოგადოება უნდა აფასებდეს. ვაჭრებიკი შენ დაგასახელებენ, როგორც „ლიტერატორს, საზოგადო მოღვაწეს, ჭეშმარიტის სწავლით აღჭურვილს“.

*) იხ. „ივერია“ № 226.

კიდევ გავიმეორებ კოწია, რომ ოზურგეთის ვაჭრებთან საბრძოლველი ჯერ არა გაქვთ-რა, რადგან აქ ვაჭრებმა პირის შეკვრა და მაზანდის თავიანთ ნებაზედ გადაკვეთა არ იციან და ვერც მოახერხებენ. მაშ, აქ ჯერ არ არის საჭირო თქვენი „შუამავალი“. თქვენ მიეშველეთ, თუ გული შეგტკივათ, სოფლებს, სადაც მაზანდის დადება და შემოღება მედუქნე პავლია-მალხაზების ნებაზეა დამოკიდებული, რადგან მეტი კონკურენტი არ ჰყავს, როგორც მიგაჯახირებს, ისე გაგთლის. აი დამართეთ სოფლებში მაჩხაანისებური დეპო-კასები, გამოიცადეთ და (ამას ცოტა თანხაც ეყოფა) და შემდეგ თუ საჭიროთ დაინახავთ, ქალაქსაც მიეშველებით.

მე ვამბობდი, რომ თქვენის მონაგებით ათის ღარიბის შვილს გაზრდით, ოცი და ოც-და ათი ჩვენის მეზობლის ვაჭრისა უსწავლელები დარჩებიან-მეთქი. ქვენ ამაზედ ღაღადებთ: „დიდება შენდა, უფალო, რამეთუ საკვირველ არიან საქმენი შენნი“. ჩვენ ამას დავუმატებთ: „დიდება შენდა, კოსტანტინე, რამეთუ საკვირველნი არიან საქმენი შენნი და ვერ ვინ შემძლებელ არს ცნობად შენდა.“ დიახ, ვერვინ შეიძლო შენი ცნობა. „მოჰყევი ტყუილ-ტყუილსა, მეც მაგან გამაგულისა“, მაგრამ ღირს-კი ისეთს პირზედ გაგულისება, რომელიც თვალს და ხელს შუა სიცრუეს სიცრუეზედ აცხობს—კიდეც სჭრის და კიდეც ჰკერავს, ჩემს აზრს მიმახინჯებს და რაღაცაებს სიცხიან ავადმყოფსავით ჰბოდავს და მის ნაბოდავ-ნაროტავს მე მაწერს, ეს შენ გეკუთვნისო. მაშ რას ჰგავს ეს მ. მ., თუ არ ბოდვას, რომ ბ-ნი კოსტანტინე მწამებს: „ბ. ა. თოიძე გვიმტკიცებს, რომ ჩარჩ-ბაცაცებს თუ კბილი შევუკარით, ავლაგმეთ მთელის გურიის მკვიდრნი, მათგან ვიხსენით, წარმატების გზას დავაყენეთ, მაშინ $^{1}/_{4}$ $^{0}/_{0}$ ყმაწვილი გაიზრდება სკოლაში და $^{3}/_{4}$ $^{0}/_{0}$-კი ჩარჩ-ბაცაცების შვილები უსწავლელები დარჩებიანო!“ („კვალი 41 №“). ამაზეა ნათქვამი: „რა უთქვამს, რა მოუჩმახავს რა წიგნი მოუწერია.“, როდის იყო ესბატონო, დასტამბული, რომელ ნომერში, ან რომელ ორგანოში? იქნება თქვენ თქვენს სტამბაში დასტამპეთ, მე ჯერ არ მენახოს? როდის იყო, რომ ან თქვენ დაუმტკიცეთ ქვეყანას, გიხსნით ჩარჩებისაგან, წარმატების გზაზედ დაგაყენებთო და მე-კი დავამტკიცე, რომ არა, ნუ იზამთ ამას, თვარა ერთი წილი ყმაწვილები გაიზრდება და სამი წილი-კი არა მეთქი? ვინც ჩემს პატარა წერილს წაიკითხავს «ივერიის» 112 ნომერში, მაგის მზგავსს ვერას ამოიკითხავს, გარდა იმისა, რაც ზევით ვსთქვი. ჩემი სტატისტიკით ასე არ გახლავს და არც სტატისტიკობა დამიჩემებია როდისმე. ბრძანებთ „ალ. თოიძის სტატისტიკას კისერს მოვამტვრევო“. სწორედ თქვენგან არ მიკვირს იმასთან ბრძოლა, რაც არ არსებობს. თქვენისთანა დევ-გმირების საქმეა დონკიხოტისებური ბრძოლა—ნუ შიშობ, შეები მედგრად ჩემს სტატისტიკას, მომტვრიე კისერი, თუ-კი სადმე არსებობს და იპოვნი.

შემეძლო ყოველივე თქვენი სტრიქონების სიმართლე მკითხველ საზოგადოებისთვის დამენახვებინა, მაგრამ ჯერ ეგ იკმარე, ბ-ნო კოწია, ეხლა-კი სხვაზედ უნდა მოგელაპარაკო:

თქვენ „კვალის“ მე-41 ნომერში წერილით: „როგორ გათამამდნენ გურიის ჩარჩ-ბაცაცები თოიძის წერილის გამო“, მაძლევთ სასტიკ შეურაცხყოფას, ეხებით ჩემს პირად ღირსებას, როცა ამბობთ: „თოიძემ სრულიად უშიშრად და თავისუფლად წარმოსთქვა საზოგადოდ, გაზეთით ის, რაც სხვა ადამიანს (შეგნებულსა და პატიოსანს) არა თუ თქმა, ფიქრადაც გატარება თავში ჟრუანტელს მოგვრიდა და სიმწრის ოფლში შეაცურებდაო“.

აი, სიტყვა სიტყვით ამოწერილი თქვენი სიტყვები; ამას დაუმატეთ თვით წერილის სათაური და შემდეგ კიდევ მოყვანილი თქვენივე სიტყვები: „ჩვენ გვინდოდა მკითხველთათვის დაგვენახვებინა, თუ როგორ გათამამდნენ გურიის ჩარჩ-ბაცაცები თოიძის წერილის შემდეგ მისის წერილის წახალისებითო“.

ყოველივე ამ სიტყვებით თქვენ მე ბრალდებულის სკამზედ, მსვამთ, მხდით საზოგადოების წინაშე პასუხის მგებლად ეხებით ჩემს შეგნებულობას, პატიოსნებას, მრაცხთ შეუგნებელად, უპატიოსნოდ, ჩარჩ-ბაცაცების წინამძღოლად და წამხალისებლად, ერთი სიტყვით, თქვენის აზრით მე ვარ შეუგნებელი, უპატიოსნო და თვითონ ჩარჩი. მე მგონი ყოველივე ეს საკმარისია, რომ პასუხი მოგთხოვოთ, დაგამტკიცებინოთ, გაქვთ თუ არა უფლება თქვენ ამისი და რაიმე საბუთი, რომ ეს ცილი შემწამოთ.

დიახ, ვამბობთ, თქვენ იმიტომ, თქვენ კოსტანტინე თავართქილაძე, ჩარჩი ბრძანდებით, ჰმოქმედებთ ჩარჩულად, საზოგადო საქმის სახელს ქვეშ შენის პირადი ჯიბე-კუჭისათვის. ყოველივე ამის დამტკიცებისთვის მე საზოგადოებას თავს

---

დარება იმ დაკოდილ ლომს, რომელიც გამწარებულად ღრინავს და ეძებს თავისს დამჭრელის, დამკოდელის ჯიბრი ვინც წინ შეხვდება იმაზედ ამოიღოს, ამოიყაროს. ადამიანისთვის ამ სოფლად მოუცილებელი საშუალებაა—იქნეს სასტიკი, რომ დაიცვას თავისი ხორცი და სული. ყველა ხედავს, რომ ეგოისტები ამ ქვეყნად მეფობენ; რომ ყველაზედ პატივცემული ის არის, ვინც სასტიკად, შეუბრალებლად ეპყრობა თავისს მორჩილებს; რომ უფრო საყვარელი ბატონი ის არის, ვინც შებრალება არ იცის; უფრო დაწინაურებული ის არის, ვინც არ უშვებს შემთხვევას თავისს დაძაბუნებულის ამხანაგის, მეგობრის ადგილი დაიკავოს და რომელიც ხშირად თვითონაც ხელს უწყობს მისს დაქვეითებას; რომ მეტიჩრები, უვიცნი უფრო დაჯილდოვებულნი, გამარჯვებულნი არიან ამ ქვეყნად. ამას გარდა ყველა ხედავს, რომ კეთილი განწყობილება, წრფელი გრძნობა, პატიოსანი მოქმედება, თავდაბლობა გამოუსადეგარი თვისებანი არიან ამ ქვეყნად.

ამიტომაც ადვილი ასახსნელია, რომ ყოველი „ჭირისუფალი“ თავიანთ საყვარელ შვილებს, თავის მწარე გამოცდილების შემდეგ, მუდამ ბავშვობიდგანვე „უჩიჩინებენ:“ „მხოლოდ მარტო შენ თავზედ იზრუნე, შვილო, ყოველ დროს ეცადე პირველი ადგილი დაიჭირო, არავის ჩამორჩე, არ აჰყვე სისულელეს—ბავშვურ ყმაწვილურ აზრებს, არ „აჩქარდე“... ამნაირად ყოველივე ყვავილოვან, სუნელოვან მცენარეს დანერგილს ამ ნორჩს ნიადაგზედ ძირეულად სთხრიან და სთესვენ მხოლოდ ჯინჭარს, ეკალს და ანწლს. ამიტომაც ეხლანდელი გარემოება, მდგომარეობა უხვად ამრავლებს ეგოისტებს.

**კაცი არის მატყუარა (ცრუ).** შეიძლება იმაზედ მეტი სიამოვნების წარმოდგენა, რომ კაცს შეეძლოს თავისუფლად ილაპარაკოს ყოველივე, რაც გულს უნდა? არ მოიძებნება იმაზედ უმეტესი კმაყოფილება, რომელსაც შეგიძლია გამოსთქვა, გამოხატო ყოველივე შენი გრძნობები, რომლებიც გულზედ გაწევს და თავისთავად თხოულობს ამოხეთქას. არ მოხერხდება იმაზედ მეტი სასჯელი, რომ კაცი იძულებული იყო მუდამ პირ-ბადე აიფარო, მუდამ შეაჩერო, შეაკავო შენი უნებლიეთი მისწრაფებანი, — „მოკუმო“ პირი? მიუხედავად ამისა, რას ვხედავთ ჩვენს ცხოვრებაში? ყოველი მცხოვრები ატყუებს ვინმეს, ან ტყუილს ამბობს რამე საქმეში: ახალი არჩეული ტყუილა მომხიბვლელ იმედებს იძლევა თავისს მომავალ მოღვაწეობის შესახებ, ყოველი მოსამსახურე, მორჩილი თვალს უხვევს ყველა უფროსს, მბრძანებელს, ცოლ-ქმარნი პირფერობენ ერთმანერთის წინ, ბავშვები —ჭირისუფლების წინ, „ბიჭები“— ბატონებთან; მოხელე, ვაჭარი „ასაღებს“ თავისს დამპალ საქონელს მუშტართან... ყოველგან—სიცრუეა, ტყუილი, ორპირობა, ზრდილობა ხშირად მხოლოდ „გაქნილი“ სიცრუეა; დიპლომატთა შესასწავლი მატყუვრობის ხელობაა; საზოგადოება არის ერთი დიდი თეატრი, რომლის სცენაზედ მსახიობნი, ნათხოვარ ტანისამოსებით მორთულნი, წინდაწინვე შესწავლილ მანერებით, გარემოების შესაფერ სიტყვებით გვიხატავენ თავისს მატყუარ, ცრუ გრძნობას; უძლური, ჩახჩუებული, გარყვნილი, „დახილაკრული“ [2]) ბებერი, ვითომდა წრფელის, უანგარო, სიბრალულის გრძნობით აღჭურვილი, სცდილობს ხელი გაუწიოს იმას, ვინც ამაყობს კეთილ-მოღვაწეობის სახელით, რომ შემდეგ იქადაგოს ის მორალი, რომელიც გვიშფოთებს სულსა და გულს. ეს ხომ „ბონტონში“ [3]) დაწერილია, რომ იბაასო, ილაპარაკო იმ გრძნობაზედ, რომელიც შენს გულს მისს დღეში არ სტუმრებია, ზიზღით აღიჭურვო იმის წინააღმდეგ, რაც სრულიად არ გაწუხებს, სიყვარული, ან გულ-გრილობა გამოიჩინო იქ, სადაც შენი გული არაფერს არ გრძნობს. მაგრამ ქვეყნის დამაქცევარნი ამ ცრუობის, მატყუვრობის შესახებ, როგორც ვიცით,—ქალები არიან.

[2]) „დახილაკრული“—დანგრეული, დაფუშული (ძნელი გამოსახატავია ერთი სიტყვით).

[3]) „ბონტონი“ (bon-ton) ფრანგული ზრდილობის მასწავლებელი წიგნია, ეს სიტყვა საყოველ-ქვეყნოდ ცნობილია და ამიტომ ჩვენს ენაზედაც რომ შეუცვლელად დარჩეს, მე მგონია, არა უჭირს-რა.

იქამდის მივიდა საქმე, რომ მეცნიერები ეძებენ თვით ქალის ბუნების აგებულებაში ცრუობის, მატყუვრობის მიზეზს. ადვილი შესაძლებელია მართლაცო, ამბობს ავტორი, რომ შთამომავლობამ უკიდურესმა გარემოებებმა, რომლებშიაც ქალები იმყოფებოდნენ მუდამ, რამე კვალი დააჩნიეს მათ ხასიათს, შექნეს მათი ნიჭი უფრო მახვილი, უფრო გამოსადეგი ეშმაკობის თვალთმაქცობის შესახებ: უთვალავი საუკუნიდგან მათმა დაქვეითებულმა სოციალურმა მდგომარეობამ, მათმა მუდმივმა მორჩილებამ, ათასნაირმა პირობებმა, რომლებიც მათთვის განგებ შეთხზულნი და სავალდებულონი იყვნენ, შთაუნერგეს ამ ევას შთამომავლობას ფიზიკურ სისუსტესთან ერთად საკუთარი განწყობილება ეშმაკურ, თვალთ-მაქც ხელობისადმი! მაგრამ შორს რას მივდივართ, შევხედოთ ჩვენს ყოველ დღიურ ცხოვრებას: სულ პატარაობიდგან ქალის შვილი გებულობს უპირველესად ყოვლისა,—როდის და რაზედ უნდა ილაპარაკოს და როდისთვის შეინახოს სრული სინაზე-სიწყნარე, როგორ უნდა მოიქცეს, რა არის მოსაწონი, რა არის საძრახისი, იმას ასწავლიან არშიყობას, კეკლუცობას, მეტიჩრობას... ამნაირად ყმაწვილი ქალი არის ის ვარდის „კვირტი“ [4]), რომელიც შეიძლება გაიშალოს, აჰყვავდეს მხოლოდ გადაფარებულ ჯაჭვის ბადის ქვეშ. ამიტომაც ქალი მზად არის ითამაშოს კაცობრიობისგანვე აშენებულ სიყვა რულის კომედიის სცენაზედ ის როალი, რომლისთვისაც ის დიდი ხანიემზადება. მიუხედავად ამისა ქალი არის მხნე, სამართლიანი, გატაცებული დიდ-სულოვნობით, გულის სიწრფელით, ის ადვილად ურიგდება თავისს საძნელო, აუტანელ მდგომარეობას. თავისს სიმწარეს, ტანჯვას, ზიზღს, აღშფოთებას ვერ მალავს ისე, როგორც თავისს სიყვარულს და მისწრაფებას კეთილისადმი... ამნაირად თვით გარემოება, მდგომარეობა აიძულებს ყოველივე კაცს იყოს ცრუ, ორპირი, მატყუარა; ყოველივე ამ ქვეყნად აქეზებს, იწვევს კერძო პირს იპირფეროს თავისნაირების წინ, ჩადრი აიხვიოს, ამოეფაროს რამეს; ყოველივე ჩასძახის ეხლანდელ ადამიანს:

„არიქა“ მოატყუე, მოახერხე, „გაუძვერი“, გაექეცი, „შეატყუე“ „შეაჩეჩე“, „დაიმალე“ და მოგეცათ სიცოცხლე, არ გვაკლია ასეთი სანახავი ჩვენს ყოველ დღიურ ცხოვრებაში.

**კაცი არის ხარბი.** მე ვიცნობდი ერთს ყმაწვილს, ამბობს ავტორი, რომელიც ბუნებით ნამეტანი პატიოსანის ხასიათის, გულ-გახსნილი, დიდსულოვანი ქმნილება იყო: ყოველივე ცხოვრების უსამართლობა, უსინიდისობა აღელვებდა, აშფოთებდა, ყოველივე ბოროტება სულს უხუთავდა (უწუხებდა); პირიქით, ყოველივე, რასაც მცირეოდენი ნი-

[4]) ვარდის პატარა გული—ჯერ კიდევ გაუშლელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვაბეზრებ, არამედ ვალდებულად გხდი მომყვეთ სამედიატორო სამართალში. დეე, მედიატორეებმა გაარჩიონ ჩვენი მოქმედება და დაანახვონ საზოგადოებას, თუ რა კაცია: Конст. Чит. Таварткиладзе содер. типографій и книжныхъ магазинъ въ Озургеты, Ново сенаки и въ Батумѣ, представитель фирмы, торговый домъ „Посредникъ“. საჭირო საზოგადოება კარგად იცნობდეს ასეთის საქმის კაცს, იქნება კიდევ მეტი საქმე მიენდობა და იქნება არც ესენი მიენდობა, არც ამაების ღირსია. მიცნობდეს მეც, თუ რა დანაშაული მიმიძღვის წარსულში, ან ეხლა რა დავაშავე ჩემის წერილით, რომელიც «ივერიის» 112 ნომერში იყო მოქცეული.

ადგილის არჩევა, თუ სად განარჩიონ მედიატორეებმა ჩვენი საქმე, თქვენთვის მომინდვია—გინდ ოზურგეთში, გინდ ტფილისში და გინდ ქუთაისში. თუ არ შიშობ, ბ-ნო კოწია, ისე გახდე, რაც ცინცაძესთვის გითხრობია ქუთაისში, დამთანხმდებით და მომყვებით სამედიატორო სამართალში...

ალექსანდრე თოიძე.

15 ოქტომბერი, 1895 წ.
ტფილისი.

## რუსეთის ცხოვრება.

—

საერო განათლების სამინისტრო შუამდგომლობს სახელმწიფო საბჭოს წინაშე, რომ იმპერიაში სწავლის გაძლიერებისათვის გარდიდვას კიდევ 500 ათასი მანეთი.

—

კიევში წელს 835 ბავშვისთვის უთქვამთ უარი სასწავლებლებში მიღებისა უადგილობის გამო.

—

გაზეთების სიტყვით, მომავალ წლიდგან სამიწათ-მოქმედო სამინისტრო დააარსებს მთელს იმპერიაში სამიწათ-მოქმედო იარაღთა და თესლთა საწყობებს.

—

პეტერბურგის გაზეთების სიტყვით, ყოველივე მზადება საგვირგვინო დღესასწაულობისთვის ცხრა მაისისთვის უნდა დაასრულონ.

## ბ. ა. ერისთავის წერილის გამო.

„ივერიის“ 202 ნომერში იყო დაბეჭდილი ვითომ-და ჩემის პასუხის პასუხად წერილი ბ. ა. ერისთავისა. ამ წერილით ბ. ერისთავმა ფრიად სასიამოვნო სიტყვები გაგვაგონა: „ერთი დესეტინა ახალ-გორის მამულიდგან მე მიმირთმევია ახალგორის სკოლისათვისაო“.

ველოდი დღემდის, აბა თუ ვინმე მადლობას გადუხდის ბ. ერისთავს ამისთანა უხვის საჩუქრისათვის და კეთილის საქმისათვის-მეთქი, მაგრამ კრინტიც არავის ამოუღია!

იმედია, როდესაც სკოლის მზრუნველნი მიაკითხავენ თავადს ა. ერისთავს ადგილი უჩვენოს სკოლის ასაგებად, დაპირებული საჩუქარი დაუბრკოლებლივ გადაეცემა სკოლას.

რაც შეეხება ბ. ა. ერისთავისაგან სხვის სიტყვის აყოლას, რომ ვითომ მე და მღვდელმა ახალგორის სკოლაში შევიტანეთ უცნაური პროექტი, რომ მღვდელი კისრულობს ქართულის ენის სწავლებას, ვთხოვ უმორჩილესად მღვდელს პ. გედევანიშვილს განაცხადოს, —რა პროექტი შევიტანეთ მე და იმან სკოლაში და ის ასწავლიდა ბავშვებს ქართულს ენას, თუ მე? დასასრულ მოვაგონებ ბ. ა. ერისთავს, რომ ცილის წამება,—ვითომ მე არ ვასწავლი ბავშვებს ქართულს ენას, საკადრისი არ არის, თორემ ვინც მიცნობს, ვისაც გაუბედნიერებივარ ჩემდამო რწმუნებულ სკოლაში მობრძანებით და გაკვეთილების მოსმენით, მათ კარგად უწყიან, როგორც ვასწავლი ბავშვებს ქართულს ენას და როგორც იციან ყმაწვილებმა ეს ენა.

მუხრანის სასწავლებლის გამგე მ. გიორგაძე.

## უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** როგორც დეპეშებიდგან ვიცით, 11 ოქტომბერს დაიწყო დღესასწაულობა საფრანგეთის სამეცნიერო ინსტიტუტის ასის წლის იუბილესი. დღესასწაული დაიწყო პანაშვიდით, რომელიც გარდახდილ იქმნა ინსტიტუტის გარდაცვალებულ წევრთა სულის მოსახსენებლად. პანაშვიდის შემდეგ ეპისკოპოსმა პერრომ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც ქება შეასხა გამოჩენილ მეცნიერთ და უმთავრესად წარსულ თვეში გარდაცვალებულს ლუი პასტერს. ეკკლესიიდგან დამსწრენი შეგროვდნენ ინსტიტუტის დარბაზში, სადაც უცხო ქვეყანათა კორესპონდენტებმა და სტუმრებმა მიულოცეს ინსტიტუტს იუბილე. შემდეგ ინსტიტუტის წევრები მიიღო დიდის ამბით საერო განათლების მინისტრმა სხვა მინისტრთა თანადასწრებით. საღამოს გამართულ იქმნა საიუბილეო წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს «დიდის ოპერისა» და „კომედი ფრანსეზის“ საუკეთესო არტისტებმა. ამით გათავდა პირველი დღე დღესასწაულობისა; იუბილეს დღესასწაული კიდევ სამს დღეს განეგრძობა.

—

**ჩინეთი.** ჩინეთის მთავრობას გარდაუწყვეტია დააარსოს ტიანძინში უნივერსიტეტი ევროპის უნივერსიტეტის წეს რიგზედ. გარდა ამისა განზრახვა აქვთ მრავალი ელემენტალური სკოლები გახსნან ჩინეთის ჩრდილოეთ ქალაქებში. უნივერსიტეტში გარდა საზოგადო-სამეცნიერო სწავლისა, ასწავლიან პრაქტიკულად იურისპრუდენციას, საინჟინერო და სამთო საქმეს. მასწავლებლებად მოწვეულ იქნებიან გამოცდილი ევროპიელი პროფესორები, მათ თანაშემწედ იქნებიან ჩინელი მეცნიერნი, რომელთაც ევროპაში მიუღიათ განათლება. უნივერსიტეტის რექტორად დაინიშნება ცნობილი მეცნიერი ჩარლზ ტენნეი.

—

**ოსმალეთი.** ტრაპიზონიდგან „ნოვ. ობოზ.“-ს სწერენ: „ახლა დრო არის საბოლოოდ ვიანგარიშოთ, თუ რა მოხდა ტრაპიზონში. უკვე ნამდვილად ვიცით, რომ არეულობის დროს მოკლულ იქმნა ათი ქალი, 6 ბავშვი, 6 ბერძენი და 500 მამაკაცი სომეხი (მარტო ქალაქში). გაძარცვეს 100 დუქანი და მაღაზია, 200 სახლი და ერთი ფაბრიკა; 25 კასსა დამსხვრეულია; გადასწვეს ყველა გარშემო სომეხთა სოფლები და მოკლულია სამი სოფლის მღვდელი.

—

იმავე გაზეთს კარაურგანიდგან შემდეგი დეპეშა მოსვლია: ბითლისში თავს დაესხნენ სომხებს. დერჯანი მარაშის ოლქისა მიწასთან გაუსწორებიათ. არზრუმის მიდამოებშიაც ღელავენ ოსმალნი; ქალაქში ყოველ წუთს ელიან არეულობას.

—

„მშაკ“-ს სწერენ კონსტანტინოპოლიდგან: რეფორმების პროექტი, რომელიც ახლა გამოცხადდა, არის ერთი სომხებისათვის გამოსადეგი მუხლი—უცხო ქვეყანათა კონტროლი. სამაგიეროდ გამოკლებულია შემდეგი: გუბერნატორები ქრისტიანნი არ იქნებიან; მთავარ-კომისარი მაჰმადიანი უნდა იყოს, მხოლოდ თანაშემწე ქრისტიანი; გამოკლებულია ამნისტია: ასი და ათასი უდანაშაულოდ დატუსაღებულნი არ იქმნებიან განთავისუფლებულნი და სხვა ამგვარი.

## უცხოეთის წვრილი ამბავი.

—

„ნორთ ამერიკან რევიუ“ ს უკანასკნელს წიგნში დასტამბულია საინტერესო „ეტიუდი ქალების შესახებ“. ამ ეტიუდში ოთხ სხვა-და-სხვა ერის წარმომადგენლებს აქვთ აწერილი „იდეალური ქალი“ თავისის ქვეყნისა. მათ შორის გრანტ ალენი ინგლისელ ქალების შესახებ ამბობს: „ინგლისელ ქალთა შორის არ არსებობს კერძო იდეალური ტიპი, რადგანაც ინგლისის ერი შესდგება სამ ერთი მეორის მოწინააღმდეგე საზოგადოებისაგან, სახელდობრ არისტოკრატთა საზოგადოებიდამ, საშუალო საზოგადოებიდამ და მუშათა და ხელოსანთა საზოგადოებიდამ. იდეალური ქალი მუშათა საზოგადოებაში ძველი ტევტონური ტიპია. ის მუშაობს სამზარეულოში, სახლში და თხოვდება 16—24 წლამდე. შვილები ათიდგან თხუ-

---

შანი მაინც-კი ჰქონდა კეთილობის, პატიოსნების, სიმართლის, სიწრფელის, მას იპყრობდა, მას იტაცებდა; მისი მამა, რომელმაც თავისი უკანასკნელი, უიმისოდაც გამოლეული შეძლება მის გაზდას მოანდომაო, მუდამ ამას აყვედრებდა მწარე კილოთი: „შვილო, ეს ძლიერ კარგია, რომ ებრძოლო უსამართლოებას, დაიცვა პატიოსნება, მოსაწონია, რომ შენის მოძმეებისთვის თავი შესწირო, მაგრამ, შვილო, შენ „რას მოიგებ“ მანდიდგანო; ამ ჩვენ ვაჭრულ ინტერესების გამეფების საუკუნეში მართლაც ცხოვრების სინამდვილიდგან ამოწერილია ეს—„რას მოიგებ“ და ყოველგან დიდად საგულისხმოც არის. ყოველივე ამ ქვეყნად ვაჭრობა არის: არჩევნობა, მოწყალეობა, ქველმოქმედება, მსხვერპლი, ახალი გამოგონება, მეცნიერული ნაწარმოები, ქალის სიტურფე—სილამაზე... ქვეყანა დიდი უშველებელი ბაზარია, სადაც ყოველნაირი სავაჭრო რიგრიგად, წყობით დალაგებულია, დამზადებული იმისთვის, ვინც შესაფერ ფასს გამოიღებს. ოქროს ყოველივე შეუძლია ამ ქვეყნად: ის აბრწყინევს სინიდისს ისე, როგორც გონებას და გულს, ამყარებს მრავალნაირ დამოკიდებულებას, ფერს უცვლის ყოველივე უსიამოვნებას, უხალისობას, ამიტომაც ყოველი კაცი თავგადადებით ეძებს ამ „ყვითელ მადანს“, რადგანაც ის უძღვება ამ ქვეყნად სიყვარულისკენ, სიამოვნებისკენ, პატივისცემისკენ, განმავალობისკენ. აქედგან ადვილად შეიძლება ახსნას კაცმა სად არის მიზეზი სიხარბისა.

კაცი არის მფლობელობის მსურველი (dominateur). ეს ქვეყანა გარდა მომუშავეთა და არა მომუშავეთა კიდევ ორად არის გაყოფილი მეორე ნაირად: ერთი მფლობელი, განკარგულების მიმცემია, მეორე მორჩილი, ბრძანების ამსრულებელი; პირველებს ეკუთვნის უპირველესი მდგომარეობა, უპირველესი ადგილი, ისე რომ რაც უფრო მაღლა აიწევ—უფრო-და-უფრო მატულობს კმაყოფილება, პატივი. ძველ დროში, როდესაც ღირსება დაბადებიდგანვე დაჰყვებოდა კაცს, როდესაც სხვა-და-სხვა წოდებათა შორის გადაუსვლელი საზღვარი არსებობდა, მაშინ უფრო ცოტად, ნაკლებად იყო გავრცელებული ეს მფლობელობის ინსტინქტი, ვინემ დღეს, როდესაც ყოველივე სალდათს იმედი უნდა ჰქონდეს, რომ ერთ დღეს ღენერალი შეიქნება და ყოველივე მჭედელს, ან ხარაზს შეუძლია პრეზიდენტის ადგილი დაიკავოს. აი, ამიტომ ამ ჟამად უფრო გავრცელებულია ეს ინსტინქტი. ამნაირად ავტორი ამტკიცებს, რომ კერძო პირი (ინდივიდი) არის და იქნება ყოველს დროს ისეთი, როგორადაც იმას ზრდის საზოგადოება. ამ აზრს დიდი ხანია ამტკიცებენ თითქმის ყველა მეცნიერები, რომლებიც ცოტაოდენათ-მაინც ეხებიან სოციალურ კითხვებს. ცნობილი ბერძნების ფილოსოფოსი პლატონი ამბობს [5]) „დანაშაულება არის შემცდარი (უმართლო) კულტურის, ცუდის აღზრდის და ავი საზოგადო ორგანიზაციის›. შედეგია ცნობილი „უტოპიის“ დამწერი ტომას მორი ამბობს:

[5]) გავახსენებთ მკითხველს, რომ პლატონი ცხოვრობდა 429—347 წ. ქრისტეს დაბადებამდის.

„ინგლისის და სხვა მრავალი სახელმწიფოების სამართალი მოგაგონებთ იმ მასწავლებელს, რომელიც სწავლების მაგიერად ურტყამს ბავშვებს. ისინი აწვალებენ დამნაშავეებს საშინელი სასჯელით, მაგრამ უკეთესი არ იქნებოდა, რომ რამე ნაირად სხვა ხერხი მოეგონებიათ ყველა საზოგადოების წევრების მშვიდობიანობის დასაცველად, ისეთი, რომ არც ერთ მცხოვრებს საზოგადოებაში არ დასჭირდებოდეს ქურდობის და ავაზაკობის საშუალებით ისარგებლოს“. ერთი ყოველგან მიღებული მწერალთაგანი პოლიტიკურ ეკონომიის მეცნიერებაში, ჟან ბატისტ სეი ამბობს: „თუ თქვენ გნებავთ ხალხი კეთილის მიმართულებისა შექმნათ, მიანიჭეთ მას მუდმივი კმაყოფილი ცხოვრება და თქვენ აღარ დაგჭირდებათ მარად ზნეობრივი ქადაგება უკითხოთ მას“. მოლეშოტი სწერს: „განათლების მოკლება, სიღატაკე და ცუდი აღზრდა —სამი უმთავრესი შემქნელი ძალაა დანაშაულობისა“. მარკ გიიო [6]) სწერს: ხალხის ხასიათის გამრყვნელი და გამფუჭებელი არის ნებივრობა და ზარმაცობა ერთის მხრით და სიღატაკე, უკმაყოფილება მეორეს მხრით“—მიუხედველად ამ საყოველთაო, საზოგადო მიზეზებისა, რომლებიც ძალა უნებურად აქეზებენ, „უბიძგებენ“ [7]) ადამიანს ცუდი თავისი ინსტინქტები გაავითაროს, გაამრავლოს; გასაკვირველი არისო, ამბობს ავტორი, რომ კიდევ შეხვდებით ცხოვრებაში ნამდვილი, წრფელი გრძნობით, პატიოსან, უანგარო მისწრაფებით აღჭურვილს კაცს; აი მაგალითად, რას ამბობს მარკ გიო [8]): „მე ორი ხელი მაქვს, ერთით «ხელს ვართმევ» ჩემ თანამოაზრეს, ცხოვრებაში ჩემთან ერთად მოღვაწეს, მეორეს-კი ვუშვერ იმას, ვინც დაცემულია ასაყენებლად, თუ საჭირო დარჩა, შემიძლია ამ უკანასკნელს მივაშველო ორივე ხელები“. ამისთანა წრფელი განწყობილების არსებობა ამ ჩვენ წვრილმან, დაბალი გრძნობების საუკუნეში, ნუ-თუ არ ამტკიცებს, რომ ადამიანში არის რაღაც დაულეველი ძალა, მისწრაფება პატიოსნებისა და სიკეთისაკენ. ამას გარდა, ვინ არის ჩვენთაგანიო, ამბობს ავტორი, ისეთი „უბედური“, რომ ეხლა შუა-ხანში შესულმა, არ გაიხსენოს თავისი ყმაწვილური, ყოველივე ანგარებას მოკლებული, სრული ენტუზიაზმით, მაღალი მისწრაფეებით სავსე გრძნობები და მოქმედებანიო; მაგრამ ვინ არ იცის, როგორ თან-და-თან ბინძურის, პროზაიკულის, ყოველ-დღიურ ცხოვრების უღელს ქვეშ უფრო-და-უფრო ჰქნება, ფუჭდება, ქსუვდება, იბღალება ჩვენი მაღალი, პატიოსანი გრძნობები? რომელს ჩვენთაგანს არ უგრძვნია მწარე დაცინვა, სარკასტიული ღიმილი გამოცდილი, გონიერი მეგობრის სახეზედ ჩვენის ვითომდა «დონკიხოტური» მისწრაფებისთვის. ამიტომ უსამართლობა იქნება, რომ დავაბრალოთ ჩვენს ბუნებას ჩვენი უვარგისობა...

[6]) Marc Guyau—l'irréligion de l'avenir, p. 200.

[7]) უბიძგებენ—უჯიკავებენ.

[8]) Marc Guyau une morale sans obligation ni sanction. p. 235,

ამნაირად ავტორი ეხება თანამედროვე ეკონომიურ და მორალურ მხარეებსაც, ამჩნევს მათ ნაკლულევანებას, უვარგისობას, მაგრამ დაწვრილებით მაგაზედ ლაპარაკი შორს წაგვიყვანდა და მე ვერ ვბედავ, რადგანაც ვგრძნობ, რომ უმისოდაც ჩემის „გრძელი სიტყვით“ თავი მოვაძულე მკითხველს. „კრიტიკა ადვილიაო“—თვით ფრანგები ამბობენ; მართლაც, მარტო ცუდი მხარეების ჩვენება დიდი საქმე არ იქნებოდა, რომ თავისს ახალს პროგრამას, ახალ საშუალებას არ იძლეოდეს ეს ახალი მწერალი· ადვილი წარმოსადგენია, რომ მისი ახალი პლანები ამ დროისათვის გამოუსადეგარი არ იქნება, რადგანაც თვითონ ავტორი ამბობს, რომ „თანამედროვე სოციალურ ორგანიზაციაზედ არ უნდა დავემყაროთო“. შესანიშნავი ის არის, მიუხედავად იმისა, რომ სებასტიანე ფორის ახალი პლანები მართლა ხიმერული, გამოუყენებელი ჰგონია კაცს ეხლანდელს დროში,—რომ მაინც ფეხს იკიდებს და გასაკვირველი ის არის, რომ ეს პლანები ვრცელდება უფრო უბრალო ხალხში, მუშათა საზოგადოებაში. ჩემის აზრით, ამისი მიზეზი შემდეგი უნდა იყოს:

ეხლანდელი ევროპის საზოგადოება, ხალხი ძლიერ განვითარებულია თავისის გონებით და ცხოვრების გარემოება, იდეები თითქმის იგივე რჩება, რაც იყო: ის, რაც გუშინ მიუღწეველი, იდეალური იყო, დღეს ჩვეულებ-

თმეტამდე უჩნდება. შვილების სიკვდილს ისე უყურებს, როგორც ბუნების მოვლენას და მშობლის ხვედრს. ქმარს ყველაფერში ერწმუნება, და ზრუნავს კიდეც მისთვის. მისი სიცოცხლე მძიმე მუშაობაში იღევა. ის რეცხავს, ჰკერავს, ხარშავს, აგებს ლოგინს თავისის ქმრისთვის და შვილებისთვის, რომელთაც პირისახე ისეთივე თეთრი აქვთ, როგორც მათი გულსაფარი. სწამს ღმერთი, და ეკკლესიურს წესებს დიდს მნიშვნელობას აძლევს. მაგრამ იგი გამრეცვნილია, გრძნობებით მშრალია და ეს თვით იმ წრისა და გარემოების ბრალია, რომელთა შორის იგი სცხოვრობს.“ საშუალო საზოგადოების ქალს გრანტ-ალენი ახასიათებს რამდენიმე სიტყვით. ისაო, ამბობს ალენი, ბევრით მაღლა სდგას მუშათა წრის ქალზედ იმიტომ, რომ „როიალზედ უკრავს“, ის უზრდელი, და მიმზიდველობა აკლია. არისტოკრატთა საზოგადოებას ალენი უფრო მეტად ჰკიცხავს. მისის სიტყვით, მათ შორის არც-კი არსებობს ქალის იდეალი. ალენი ამბობს, რომ „ინგლისელ არისტოკრატს არა აქვს იდეალი, ის ბუნებითი ცინიკია, და ამ ცინიკობას არცა მალავს, ცოლს ირთამს მხოლოდ მისთვის, რომ მოუწყოს საცხოვრებლად. იმისი ცოლი ან ლამაზი უნდა იყოს, ან მდიდარი, ან ორივ ერთად. ცხოვრობენ ისე, როგორც ჰსურთ, ერთ-ერთის დამოუკიდებლად. ამ გვარს ცხოვრებას ისინი განქორწინებამდე მიჰყავს და კიდეც განშორდებიან ხოლმე ერთმანერთს.“ კარსლ ბლინი ახასიათებს გერმანელ ქალის იდეალს და ამბობს, რომ „ქალი უნდა იყოს კარგი დიასახლისი, ამავე დროს უნდა ეინტერესებოდეს ხელოვნება, ლიტერატურა, უნდა შექმნას სახლში ტკბილი და მყუდრო ცხოვრება, აღზარდოს შვილები და იზრუნოს, რამდენადაც-კი შესაძლებელია ქალთა სქესისათვის, საზოგადო კეთილდღეობისთვის.“ სკანდინაველ იდეალურს ქალზედ ამ მოკლე დროში გარდაცვალებულმა ბიორნსენმა სთქვა შემდეგი: „ერთი ნორვეგიელი ქალი, რომელიც ჩემთან სტუმრად იყო, ღამ-ღამე თავის მეგობარ კაცით და ქალით დასეირნობდა ქუჩა-ქუჩა. როდესაც მე ის გავკიცხე იმის გამო, რომ ერთს კვირას ვიღაც კაპიტანთან გამართა ნაცნობობა ბაღში, გაეცინა და მე ძველის დროის ბერიკაცი მიწოდა, ჩემს აზრს ის დახავსებულს ეძახდა. ამ მოკლე ხანში ნორვეგიაში უთუნით მე დავრწმუნდი, რომ იქ ამისთანა ქალები იშვიათნი არ არიან“. მავს ორელი დიდად აქებს ფრანგის ქალებს. „ერთად-ერთის მას ზრუნვასო, ამბობს მავსი, შეადგენს ის, რომ მუდამ მოსწონდეს თავისს ქმარს. ამიტომ იგი ხშირად იცვლის ელფერს: ხან ხდება მის ამხანაგად, ხან მეგობრად, ხან საყვარლად; უოველთვის იცვლის თავისს გარეგნობას. ორ კვირას, რომ ერთგვარად დავარცხნილი თმა ატაროს, მერე სხვაგვარად შეიცვლის ხოლმე. ფრანგის ქალმა კარგად იცის, რომ სიყვარული გარეგნობით საზრდოობს, კარგად იცის, რომ თმაში გარჭობილი ვარდი, ახალი ქუდი, ახალი ტანისამოსი მოსიყვარულე ქმარს გულს აუტოკებს და სიყვარულს აგრძნობინებს იმავე ძალით, როგორც პირველად უყვარდა; კარგად იცის, რომ საუცხოვო საჭმელები კაცს თავს აბეზრებენ, თუ ერთგვარი სანელებლით არის მომზადებული. ორელი ამგვარად დახასიათებულს ქალს,— ფრანგის ქალს ადარებს ინგლისელს,— რასაკვირველია, არა სასარგებლოდ უკანასკნელისა.

---

რივად მიაჩნიათ; ამიტომაც ხალხი არ კმაყოფილდება გუშინდელი იდეალებით და კიდევ მეტს, უფრო ახალს თხოულობს; აი ამიტომ დიდის წყურვილით ეწაფება ახალს აზრს, ახალს პლანებს, რომლებსაც ამ შემთხვევაში იძლევა სებასტიანე ფორი.

ამას გარდა მართლა არას დროს არ ყოფილა ისე გამწვავებული სოციალური კითხვები, როგორც ეხლაა დასავლეთ ევროპაში. როგორც ჩვენში იტყვიან, იმდენზედ არის დასული მდგომარეობა, რომ „თავისს კანში არ ეტევა“, ამიტომ უეჭველად ევროპაში და უფრო ადრე ისევ საფრანგეთში უსათუოდ უნდა მოხდეს რამე ცვლილება, რომელიც ჩვეულებრივად რევოლიუციით უნდა გამოიხატოს; ამიტომ ხალხი, როგორც ყოველთვის მაგისთანა დროში, უკიდურეს საშუალებაებს, პლანებს თხოულობს. ეჭვს გარეშეა ის, რომ ყველა, რასაც სებასტიანე ფორი და ხალხი თხოულობს, სავსებით არ ასრულდება, მაგრამ საჭიროა ყოველთვის ასეთს დროში ძლიერ ბევრი ითხოვო, რომ „საკმაოდ ბევრი“ მიიღო. იმიტომაც, ჩემის აზრით, სებასტიანე ფორისთანა მქადაგებელს თვით ეხლანდელი დროების მოთხოვნილებაწვევს.

ნიკო გურული.

პარიზი, აგვისტო, 1895 წ.

---

## შემოწირულება.

„ივერიის“ რედაქციამ მიიღო ქიზიყის სახალხო დეპოსაგან ერთი თუმანი თავ. რაფიელ ერისთავის ფონდის დასაარსებლად.

---

# განცხადებანი


პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული და სიფილისი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. სოროკინ შჩერბინინისა, 10—11 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისადა შინაგანი.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ა. ზ. ქარაპეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი, 5—6 საათ. შაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. გ. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: სიფილისი, ვენერიული, შინაგანი და კანისა.

ზ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათმდის.

ა. გ. გურკო. გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის აწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

---

ივანე იაკობის ძე

## დოლგოლენკო

იღებს მრწმუნებელთ ქ. გორში, სახლი ონიკოვისა, სასამართლოს განყოფილების პირდაპირ.

(5—1969—1).

---

ქირავდება

რამდენიმე სადგომი. ადრესი: ჩუღურეთში, გონჩარნის ქუჩა, № 32.

მელქისედექ ნაკაშიძე.

(3—1968—1).

---

დაიბეჭდა და ისყიდება

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში

## ცხოვრება

მეფე გიორგისა

აღწერილი

პლატონ იოსელიანის მიერ.

გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.

ფასი ერთი მანეთი.

---

ახლად გამოვიდა გასასყიდად

## რეინიკე კუდა-მელა

(ათის სურათით)

ნათარგმნი გ. იოსელიანის მიერ.

გამოცემა ზაქარია გრიქუროვის წიგნის მაღაზიისა.

ისყიდება იმავე წიგნის მაღაზიაში.

ფასი წიგნისა 50 კაპ., ვინც ათ ეგზემპლიარზედ მეტს იყიდის ნაღდად, წიგნი დაეთმობა 40 კაპ.

(5—6.—3)

---

## ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

თარგმნილი მ. შარაძის მიერ

გამოცემა მ. შარაძისა და ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავართქილაძესთან.

სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანეიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

---

ახალი გამოცემანი:

## საუზარეულო

ქართულ და ევროპიულ საჭმელებისა

მეორე გამოცემა

ახლად შევსებული და შესწორებული. შიგ მოთავსებულია ათასამდე დარიგება სხვა-და-სხვა საჭმელაების მოსამზადებლად და სანოვაგის შესანახავად.

ფასი მანეთ ნახევარი.

---

ქართველთა ამხანაგობის გამოცემა.

## აღა-მაჰმად-ხანის

შემოსევა ქ. ტფილისში.

თ. ალ. ვახტანგის ძის ჯ.-ორბელიანისა.

ფასი 25 კაპ.

იყიდება ამხანაგობის სკიოსკში.

---

ტელეფონი № 229.

## მაღაზიას

«უმაღლესად მოწონებულის კავკასიის ოფიცრების საეკონომიო საზოგადოებისას»

ძმათა დ. და ს. ფორაქოვებისა,

ქ. ტფილისში,

აქვს პატივი აუწყოს ბ.ბ. წევრთ და მონაწილეთ ხსენებულის საზოგადოებისა, რომ ამ მაღაზიაში (თამამშოვის ქარვასლა, №№ 12, 13 15 და პასსაჟი 45) ისყიდება, სხვათა შორის, კარგის ღირსებისა მაუდეულობა და ბამბის საქონელი; რაგვარი საქონელიც თვით «საზოგადოების» საკუთარს მაღაზიაში არ იშოვება, ესე იგი, ქალების და გიმნაზიელების ტანისამოსად სახმარი მაუდი, პლედები, საბნები პლიუშისა, წავისა (бобровыя) და ქიშმირისა, თბილი შალები, ხავერდის სუფრები და ხალიჩები; პლიუში აბრეშუმისა და მატყლისა, პალატნო, ქიშმირი, ბუმაზეი, ჩითები და სხვა საქონელი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ მიჰმართონ პირ-და-პირ „საზოგადოების“ სამმართველოს. ყველა საქონელი ისყიდება ფას-დაკლებით.

(3—1965—2).


---

გმგეობა ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისა ამით აცხადებს, რომ უძრავი მამულები ქვემოდ დასახელებულ პირთა, მიღებულნი გირაოდ ბანკში, დანიშნულნი არიან, თანახმად წესდების 14 §, საჯაროდ გასასყიდად, რადგან ამ ბანკის წესდების ძალით სავალდებულო გარდასახადი პატრონებისაგან არ არის შემოტანილი.

გასყიდვა არ მოხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ხვედრს გარდასახადს შემოიტანენ.

ა) ქალაქის მამულები:

ბეთანოვი სტეფანე ივანეს ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველგვარ მოწყობილობით, მიწით და ეზოთი, ზომით სიგრძით 28 და სიგანით 13 საჟენი, ქ. ახალციხეს.

ტერ-სააკოვი ტერ-ელიშე ტერსააკის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი და ბაღი მიწით, ზომით 1 დესეტინა, 638 ოთხ-კუთხი საჟენი, ანუ რამდენიც აღმოჩნდება, ქ. გორში.

ტერ-შმავანოვი ნიკოლოზ ივანეს-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით, ფლიგელით და ყოველ გვარ მოწყობილობით, მიწა ზომით 86 ოთხ-კუთხი საჟენი, ანუ რამდენიც აღმოჩნდება, მე-6 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. ტფილისს, მოლინისა და ბებუთოვის ქუჩაზედ, № 21.

ჩოლოყაშვილი ნიკოლოზ ზაალის ძე და ჯანდიერი ლევან გიორგის ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელითა და მიწით, ზომით 800 ოთხ-კუთხი საჟენი, ქ. თელავს.

ბ) სოფლის მამულები.

ჭიჭინაძე სოფია როსტომის ასული. სახნავ-სათესი, საძოვარი, სათიბი ადგილები და ტყე, ზომით 291 დესეტინა, 840 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში სოფ. დიდ-შავთაში.

ბერესელიძე ანასტასია გრიგოლის ასული. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 104 დესეტინა, 1200 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, აგარაკ ბოგვში.

ამილახვარი ზაქარია ალექსანდრეს ძე და ქეთევან კრისტეფორეს ასული და თაზიევისა მარიამ ალექსანდრეს ასული. სახნავ-სათესი და სასახლკარე ადგილები, მიწა ზომით 33 დესეტინა, 320 ოთხ-კუთხი საჟ. ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. გრაკალში.

ფალავანდიშვილი ივანე ანტონის ძე. სახნავ-სათესი და საძოვარი ადგილები, მიწა ზომით 90 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, ს. პატარა თამარაშენს, ქვათეთრსა, ოქონასა და ხიდის-უბანში.

თარხან-მოურავი დავით იორამის ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი ადგილები და ტყე, მიწა ზომით 525 დესეტინა, 876 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, ტფილისისა და გორის მაზრაში, სოფ. ახალ-ქალაქსა, მუხაურსა და სათარხნოში.

ბარნაბოვისა ანასტასია სოლომონის ასული. სახნავ-სათესი ადგილები, ზომით 19 დესეტინა, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. დიცში.

ქარუმიძე ივანე პაატას ძე. სახნავ-სათესი მიწები, ზომით 34 დესეტინა, 1320 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. თორტიზაში.

ნათიშვილისა მარიამ ზაალის ძე. სახნავ-სათესი, სასახლკარე ადგილები და ტყე, ზომით 56 დესეტ., 120 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, დუშეთის მაზრაში, სოფ. საშაბუროში.

ზამანოვი რასული-კელბალაი აბაზ-ოღლი. სახნავ-სათესი და სათიბი ადგილები, ზომით 166 დეს., 940 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. კიროხლოში.

პოლტარაცკი ალექსანდრე ეგნატეს ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი, საბოსტნე ადგილები, ბაღი და შენობები, მიწა ზომით 148 დესეტინა 900 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში.

ჯომარჯიძე თომა გრიგოლის ძე. ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფებით, სამზარეულოთი და სხვა-და-სხვა თავლებითა, ეზოთი და წყაროს წყლით, მიწა ზომით 1 დესეტინამდე, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში,

წერეთელი ბაგრატ მიხეილის ძე. მინდვრები და ტყე, მიწა ზომით 1020 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ზემო-ხოდაშენში.

გაბაშვილი იოსებ დავითის ძე. სახნავ-სათესი, საძოვარი და შენობები, მიწა ზომით 148 დესეტინა, 1860 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიასა და მაზრაში, სოფ. ოქროყანაში.

ხიზანაშვილი ლუკა ბიძინას ძე და სხვანი. სახნავ-სათესი, სათიბი ადგილები და ტყე, მიწა ზომათ 714 დესეტინა, 1320 ოთხ-კუთხი საჟენი, ტფილისის გუბერნიაში, თიონეთის მაზრაში, სოფ. ბოჭორმაში.